



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 107

ქალაქი ქუთაისი 26 სექტემბერი 2018 წელი

ინფრასტრუქტურული პროგრამების მიმდინარეობის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურის განვითარების,
კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ანგარიშის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ. ა“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა საუბეგლზე:

მუხლი 1. ინფრასტრუქტურული პროგრამების მიმდინარეობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

(ინფრასტრუქტურული პროგრამების მიმდინარეობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ანგარიში წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრადის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია

ინფრასტრუქტურული პროგრამების მიმდინარეობის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შედეგები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა, როგორც სამსახურის მართვა-ორგანიზების, ასევე 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით. რეორგანიზაციის შედეგად სამსახურის შემადგენლობაში არსებული განყოფილებების რაოდენობა შემცირდა სამამდე. თითქმის განახევრდა შტატების რაოდენობა და მიმდინარე მდგომარეობით შეადგენს 23 ერთეულს. დაიხვეწა და გამკაცრდა საპროექტო სამუშაოებისათვის განკუთვნილი ტექნიკური დავალებები, რომლის შედეგად მივიღეთ სრულყოფილი და მაღალი ხარისხის პროექტები, რასაც ადასტურებს აღნიშნული პროექტების ექსპერტიზის შედეგები. გამკაცრდა და დაიხვეწა სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა, როგორც ხარისხის, ასევე, ვადების დაცვის მიმართულებით. კონტრაქტორების ნაწილს გაუჭირდა სამშენებლო სამუშაოების მკაცრად გაწერილი გეგმა-გრაფიკების დაცვა, შესაბამისად, მათ მიმართ გამოყენებულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

სერიოზული ღონისძიებები გატარდა 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების შესრულების მიზნით, კერძოდ:

გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები

მიმდინარე მდგომარეობით დასრულებულია 19 საგზაო მონაკვეთი, ჯამური დაფინანსება შეადგენს 2,3 მლნ ლარს, კერძოდ:

ჭავჭავაძის გამზირზე, „მაკდონალდსის“ ირგვლივ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 119,6 ათასი ლარი;

ძნელაძის ქუჩის გზის მშენებლობა - 72,5 ათასი ლარი;

შარტავას ქუჩის მესამე შესახვევის გზის მშენებლობა - 53,4 ათასი ლარი;

ბელიაშვილის ქუჩის გზისა და ღვარსადენის მშენებლობა - 179,8 ათასი ლარი;

ვალერიან გუნიას ქუჩის გზისა და ღვარსადენის მშენებლობა - 166,3 ათასი ლარი;

ტყიბულის ქუჩის მე-2 და მე-3 შესახვევების, დ.თავდადებულის ქუჩის მე-2 შესახვევისა და თომაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის გზის ბეტონის საფარით მოწყობა - 184,9 ათასი ლარი;

გელათის ქუჩის მეოთხე შესახვევის გზის მშენებლობა - 174,7 ათასი ლარი;

ლესელიძის ქუჩის მეორე შესახვევის გზის მშენებლობა - 242,7 ათასი ლარი;

გელათის ქუჩის დედათა მონასტერთან და მწვანე ყვავილას ქუჩის N186-196-თან გზების მშენებლობა - 125,6 ათასი ლარი;

ახალგაზრდობის გამზირის VI და VII შესახვევების გზის მშენებლობა - 332,6 ათასი ლარი;

თაბუკაშვილის ქუჩის ბოლო მონაკვეთის გზის მშენებლობა - 283,1 ათასი ლარი;

თაბუკაშვილის ქუჩის მე-2, მე-4, მე-6, მე-8 ჩიხების გზის მშენებლობა - 293,4 ათასი ლარი;

ნინოშვილის ქუჩის მეცამეტე ჩიხის გზის მშენებლობა -36 ათასი ლარი;

ლესელიძის ქუჩის 1^ა ჩიხის გზის მშენებლობა - 45,2 ათასი ლარი.

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს 9 ობიექტზე, ჯამური დაფინანსება შეადგენს 2,4 მლნ ლარს:

ქეთევან წამებულის ქუჩის მეორე შესახვევის გზის მშენებლობის დაფინანსება შეადგენს 184,3 ათას ლარს. პროექტი დასრულების ფაზაშია. აღნიშნული შესახვევის N2-ში, დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენის შემდეგ დასრულდება გზის სამუშაოები;

ზ.გამსახურდიას გამზირის მესამე ჩიხის გზისა და ღვარსადენის მშენებლობა - 277,6 ათასი ლარი. სამშენებლო სამუშაოები შეფერხებული იყო სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების გამო;

წერეთლის ქუჩის მერვე ჩიხის გზის მშენებლობის სამუშაოები - 182,7 ათასი ლარი. პროექტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ჩიხში გამავალი მაგისტრალური არხის გადახურვის ფილების დაზიანება. აღნიშნული არხის აღდგენა დაფინანსდა მუნიციპალური ბიუჯეტიდან, რომლის დასრულების შემდეგ განახლდება გზის სამშენებლო სამუშაოები;

ასლანიკაშვილის ქუჩის პირველი შესახვევის გზის მშენებლობა - 45,1 ათასი ლარი. ამჟამად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში, აღნიშნულ ქუჩაზე მიმდინარეობს საყრდენი კედლის მშენებლობა, რომლის დასრულების შემდეგ, განახლდება გზის მშენებლობის სამუშაოები;

გაბაშვილის ქუჩის გზის მშენებლობა - 86,1 ათასი ლარი. გაბაშვილის ქუჩის N14-ში უკვე დასრულდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში დაფინანსებული საყრდენი კედლის მშენებლობა. უახლოეს დღეებში განახლდება გზის მშენებლობის სამუშაოები;

თბილისის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოები - 1,1 მლნ ლარი. დასრულებულია ელექტრო ენერჯის, ინტერნეტისა და საკაბელო ტელევიზიის ქსელებისათვის მიწისქვეშა არხების მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობს ტროტუარების მშენებლობა, ასევე ეწყობა დეკორატიული განათების ინსტალაციისათვის საჭირო წერტილები და ახალი სანათები;

ფხაკაძის ქუჩის მეორე შესახვევისა და ინგოროყვას ქუჩის მეოთხე შესახვევის გზის მშენებლობა - 78,1 ათასი ლარი;

ნიკვას ქუჩის მეორე შესახვევისა და თაბუკაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა - 147,9 ათასი ლარი;

ავტოსადგურის გზის მშენებლობა - 264,1 ათასი ლარი.

ელექტრონული ტენდერია გამოცხადებული 3 ობიექტის სამშენებლო სამუშაოების შეძენაზე, ჯამური დაფინანსება შეადგენს 3 მლნ ლარს:

დუმბაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - 1 მლნ ლარი;

ბარათაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - 1 მლნ ლარი;

იაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - 1 მლნ ლარი.

პროექტების ფარგლებში, იაშვილის ქუჩაზე იწარმოებს გზის, ღვარსადენისა და ტროტუარების რეაბილიტაცია - მშენებლობა. ასევე, არსებული გარე განათების ქსელი შეიცვლება ახალი დეკორატიული სანათებით. ელ. ენერჯისა და ინტერნეტ კომუნიკაციების კაბელები მოეწყობა მიწისქვეშა კომუნიკაციების სახით. დუმბაძისა და ბარათაშვილის ქუჩებზე დაიგება ასფალტის საფარი, ტროტუარებზე მოეწყობა დეკორატიული ფილები და ბაზალტის ბორდიურები. ასევე, მოეწყობა ზედაპირული სანიაღვრე სისტემა.

საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე შეკეთებაზე სულ გამოყოფილია 1,01 მლნ ლარი, კერძოდ: 940 ათასი ლარი ასფალტისა და ბეტონის საფარის შეკეთებაზე (660 ათასი ლარის სამუშაოები უკვე შესრულებულია); 40 ათასი ლარი გრანიტის საფარის შეკეთებაზე (30 ათასი ლარის სამუშაოები უკვე შესრულებულია), 10 ათასი ლარის სამუშაოებზე გამოცხადებულია ტენდერი, ხოლო 30 ათასი ლარი დეკორატიული ფილების საფარის შეკეთებაზე (სამუშაოები დასრულებულია).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 1/8/2018 წლის N1736 ბრძანებით შეწყვეტილია 5/7/2017 წლის N277 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, ამხანაგობა „მშენებელს“ უნდა შესრულებინა 5/5/2017 წლის ელექტრონული ტენდერის „SPA 170006587“ ტექნიკური დავალებით განსაზღვრული სამუშაოები, კერძოდ: ნიკეას ქუჩისა (კონსტანტინე გამსახურდიას, თაბუკაშვილისა და შევჩენკოს ქუჩების გავლით) და სულხან-საბა ორბელიანის გამზირის შემაერთებელი გზის მშენებლობა. ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზს წარმოადგენს ამხანაგობა „მშენებლის“ მხრიდან ზემოაღნიშნული ობიექტის ვადაში დაუსრულებლობა.

სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

დასრულებულია 2 პროექტი, ჯამური დაფინანსება შეადგენს 45,3 ათას ლარს: ნინოშვილის ქუჩის მეცამეტე ჩიხის ღვარსადენის მშენებლობა - 22,9 ათასი ლარი; პეტრიწის ქუჩის N74-ში ბუნებრივი სასულის მოწყობა - 22,4 ათასი ლარი;

მიმდინარეობს სამი პროექტი, ჯამური დაფინანსებით 445 ათასი ლარი: მდინარე ოლასკურას კალაპოტის მშენებლობის პირველი ფაზა - 300 ათასი ლარი. სამუშაოების 2/3 უკვე შესრულებულია; წერეთლის ქუჩის მერვე შესახვევის ღვარსადენი - 112 ათასი ლარი. ტენდერი დასრულებულია. უახლოეს დღეებში დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბუნებრივი სასულების ექსპლოატაცია - 33 ათასი ლარი; პერიოდულად ხდება ბუნებრივი სასულების ყელის გაწმენდა და რეაბილიტაცია.

ფასადების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები:

დასრულებულია წერეთლის ქუჩის N142-ის, თბილისის ქუჩის №33 და წმინდა ნინოს ქუჩის №6 ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები - ჯამური დაფინანსება შეადგენდა 137,9 ათასი ლარს.

საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები:

დასრულებულია 3 პროექტი (მწვანე ყვავილას ქუჩის N10,36,76), რომლის ჯამური დაფინანსება შეადგენს 37,2 ათას ლარს. მიმდინარეობს მშენებლობა მწვანე ყვავილას ქუჩის N9-ში, დაფინანსება შეადგენს 131,2 ათას ლარს. მშენებლობის პროცესში დარღვეული სამშენებლო სამუშაოების ვადის გამო, მიმდინარე კონტრაქტორ კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

450 ათასი ლარით დაფინანსდა ქალაქის მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა და განახლების მომსახურების შესყიდვა, რომლის ფარგლებშიც ყოველდღიურად ხდება სკვერების დაგვა-დასუფთავება, სეზონურად ხდება შესაბამისი ყვავილების დარგვა, ხე-მცენარეების შეწამლა და ა.შ. ასევე, ამავე ხელშეკრულების ფარგლებში, მიმდინარე წელს, ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე დაირგო სხვადასხვა ჯიშის ვარდები.

მიმდინარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირის N11-N13 შორის სკვერის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 197 ათას ლარს. პროექტის ფარგლებში ხორციელდება: ბილიკებისა და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა, სკვერისა და ხე მცენარეების განათების სისტემების მოწყობა, სარწყავი სისტემების

მოწყობა, ახალი ძელ-სკამებისა და ურნების მოწყობა, მრავალწლიანი ნარგავების გაშენება (ვერცხლისფერი ნაძვი, წითელი ნეკერჩხალი, კვიპაროსი, ოქროსფერი ევონიმუსი).

ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამით შესასრულებელი სამუშაოები:

მიმდინარეობს თეთრი ხიდის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები, დაფინანსება შეადგენს 464 ათას ლარს. მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია შემდეგი ტიპის სამუშაოები:

ხიდის ლითონის ელემენტების გაწმენდა ქვიშა-ჭავჭავური მეთოდით;

ლითონის კონსტრუქციაზე არსებული დაზიანებული ნაწილების ჩანაცვლება ახალი დეტალებით;

ხიდის ლითონის ელემენტების დაფარვა გრუნტით;

ხიდის ლითონის ელემენტების დაფარვა საღებავით;

ხიდის ზედაპირზე მოსაწყობი ლითონის ფურცლების დაჭრა და დახვრეტა ზომების მიხედვით.

მიმდინარეობს შემდეგი ტიპის სამუშაოები:

ლითონის ფურცლების გრავირება და დეკორატიული ჭრა;

ლითონის ფურცლების ჟანგვა და მოწყობა საპროექტო ლოკაციებზე;

ხიდის ზედაპირზე მოსაწყობი მინის დეტალების დამზადება.

სამშენებლო სამუშაოების ვადის დარღვევის გამო, კონტრაქტორს ერიცხება ჯარიმა 231 ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხიდზე შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 10 წელს.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები:

დასრულდა და ექსპლოატაციაში შევიდა N3 და N4 ბაღების ახალი ფლიგელები. პროექტების ჯამური ღირებულება შეადგენს 476 ათას ლარს.

33-ე და მე-15 ბაღების ახალი ფლიგელების მშენებლობა დაიწყო გასულ წელს, თუმცა, ხელშეკრულება შეწყდა და შესაბამისად, ამჟამად, აღნიშნული მშენებლობის დასრულებაზე განმეორებითი ტენდერია გამოცხადებული. სატენდერო ღირებულება შეადგენს 471 ათას ლარს.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

დასრულდა და ექსპლოატაციაში შევიდა მ. ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლის ახალი ფლიგელი. პროექტის ღირებულება შეადგენს 335 ათას ლარს. პროექტის ფარგლებში მოეწყო ახალი დარბაზი საჭადრაკო ტურნირებისთვის, ასევე მოეწყო სველი წერტილები და სასწავლო ოთახები.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამით დაფინანსებული სამუშაოები:

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 იანვრის №2712 განკარგულებით დაფინანსდა საყრდენი კედლების მშენებლობა შემდეგ ლოკაციებზე: პეტრიწის ქუჩის N14, ლ. ასათიანის ქუჩის N11, წერეთლის ქუჩის მეხუთე ჩიხის N19. სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, ჯამური ღირებულება შეადგენს 152,4 ათას ლარს.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №957 განკარგულებით 702 ათასი ლარით დაფინანსდა 22 ერთეული საყრდენი კედლის მშენებლობა, კერძოდ: კიბულას ქუჩის პირველი შესახვევის N6-თან; კიბულას ქუჩის მე-4 შესახვევი (მარჯვენა მხარე); მწვანე ყვავილას ქუჩის №80-თან; მწვანე ყვავილას ქუჩაზე, გუმათი 2-თან; მწვანე ყვავილას ქუჩის №31-თან ; მწვანე ყვავილას ქუჩის №73-თან; გელათის ქუჩის მე-6 შესახვევი მთლიანად; გელათის ქუჩის მე-6 ჩიხის N2-თან; თომაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის N2-თან; ჭაბუკიანის ქუჩის №18-თან; დავით და კონსტანტინეს

ქუჩის №67-თან ; ცაცხვების ქუჩის №3-თან; სხირტლადის ქუჩის N25-თან ; ყაზბეგის ქუჩის მეხუთე ჩიხის N50-თან ; ყაზბეგის ქუჩის N15-თან; ახალგაზრდობის გამზირის მე-9 შესახვევში; სოლომონ მეორეს ქუჩის N61^ა-თან; ნიკო მარის ქუჩის N1-თან; მიქელაძე-მეველეს ქუჩის პირველი შესახვევის N21-თან; ასლანიკაშვილის ქუჩის პირველი შესახვევის N1-თან; ასლანიკაშვილის ქუჩის N70-თან; ე.გაბაშვილის ქუჩის N14-თან; 13 ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, 9 ობიექტზე უახლოეს დღეებში დაიწყება.

საპროექტო სამუშაოების პროგრამით განსაზღვრული პროექტები:

მიმდინარე წელს შესრულებულია 175,7 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოები, მათ შორის: 35 ერთეული საგზაო ობიექტზე, 1- სკვერზე, 1 - ღვარსადენზე, 8 - ფასადზე, 22-საყრდენ კედელზე. მასშტაბური პროექტებიდან აღსანიშნავია:

ცენტრალური ბულვარის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები - 29,4 ათასი ლარი პროექტის ფარგლებში მოხდება ცენტრალური ბულვარისა და დავით აღმაშენებლის მოედანზე მდებარე შადრევნის სრული რეაბილიტაციის პროექტის შედგენა;

ასათიანის ქუჩის ღვარსადენისა და ტროტუარების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროექტის საპროექტო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 8,9 ათას ლარს. პროექტი ექსპერტიზის ფაზაშია. სანიაღვრე სისტემის სამშენებლო სამუშაოების საპროგნოზო ღირებულება შეადგენს 600 ათას ლარს, ხოლო ტროტუარების მშენებლობა 900 ათას ლარს. პროექტი გულისხმობს დახურული ტიპის სანიაღვრე ქსელის მშენებლობას;

რუსთაველის გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 13 000 ლარი. სამშენებლო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 3,7 მლნ. ლარს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გზის, ტროტუარებისა და ზედაპირული ღვარსადენის მშენებლობა.

ასევე შესრულებულია: დუმბადის, ბარათაშვილის, იაშვილის, ჯავახიშვილის, ბუხაიძის, ცხინვალის, შარტავას, გუგუნავას, ვარლამიშვილის, ლორთქიფანიძის, მანდარიას, შ.კვიციანიძისა და ნინოშვილის ქუჩების საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-12 სხდომაზე, მ/წლის 26 სექტემბერს წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბექა ყურაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია